ჩვენ უნდა ჩვენი ვაშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 175 (20921) — სამშაბათი, 31 ივლისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

საქართველოს ხიმშვიდეს დიდი საშიშროება შეექმნა.

უაღრესად გართულდა და დაიძაბა ოპერატიული ვითარება, გაუარესდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმე: გახშირდა ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის, ქურდობის, ყაჩაღობის, საზოგადოებრივი ქონების დაკაცების, შექრთამეობის, გამოძალვის, სხვა მძიმე ბოროტმოქმედებათა შემთხვევები; ეგრეთ წოდებულმა ფარულმა ეკონომიკამ პრაქტიკულად სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მოიცვა, სულ უფრო ვრცელდება ორგანიზებული დანაშაული; დღე არ გადის, რომ ავტოავარიებში არ დახახჩრდეს ან არ დაღუპოს ხალხი.

მოსახლეობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს და შეშფოთებულია იმის გამო, რომ დამნაშავე ელემენტების ხელში, ახალგაზრდობაში დაგროვდა დიდძალი საბრძოლო იარაღი, ტყვიაწამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი; არის შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის ცდები, ამ ფორმირებებში ხისხლის სამართლის დამნაშავეთა, სხვა სიეშვო პირთა შედწევის ფაქტები.

დამნაშავეთა სამყარო სულ უფრო აქტიურად მიილტვის ეროვნული მოძრაობისკენ, ეტმასნება და და ამინქურებს მას.

ეშვიათი არ არის მილიციის მუშაკებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე, შინაგან საქმეთა ორგანოების განყოფილებებზე და სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმის ფაქტები იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით.

ეს გარემოება არა მარტო ქმნის მძიმე დანაშაულობათა ჩადენის პოტენციური შესაძლებლობას, არამედ ამჟამად არსებული დესტაბილიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობად წარმოგვიდგება.

რესპუბლიკის მთავრობას სრულად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა შექმნილ სიტუაციაში და ყველაფერს ღონობს ოპერატიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის შინისტრთა საბჭომ მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელშიც სავსებით კონკრეტული ღონისძიებანი დაისახა მდგომარეობის უწრაფესად გამოსწორების მიზნით.

მობილიზებულია მთელი არსებული საშუალებანი და ძალები; ყველა სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს ამოცანები განსაზღვრულია, ისინი გადაყვანილია მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე; მთავრობის წევრები უხელმძღვანელებენ რესპუბლიკის რაიონებში ამ მხრივ მიმდინარე საქმიანობას.

შექმნილი მდგომარეობის ხირთულე კიდევ უფრო გამოიკვეთა „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის "შესახებ" სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების ფონზე, რომლითაც განსაზღვრულია 15-დღიანი ვადა მოსახლეობაში უკანონოდ დაგროვებული იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარებისათვის, რომლის შემდეგ ძალაში შევა კანონით გათვალისწინებული სანქციები.

საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მთელი ქართველი ერი, მთელი ჩვენი მოსახლეობა სრულად გაითვალისწინებს შექმნილ სიტუაციას და, განსაკუთრებით, მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მთელ საშიშროებას.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ყველა მკვიდრს, მხარში ამოუდგეთ რესპუბლიკის მთავრობას იმ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რომლებიც რესპუბლიკაში ხიმშვიდის, მართლწესრიგისა და კანონიერების აღდგენისათვის ხორციელდება.

მივმართავთ ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის, გაერთიანების, ჯგუფის ხელმძღვანელებს, წევრებს: თქვენი პირადი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მთელი ქართველი ერისთვის ამ კრიზისულ სიტუაციაში ყველაფერი იღონოთ, რაც ჩელგწიფებათ, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ მართლწესრიგის აღდგენის გზაზე ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება იქნება უკანონოდ დაგროვებული იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარება.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, უნდა გამოვიყენოთ დარწმუნების ყველა საშუალება—საზოგადოების, პირადი, მშობლის ავტორიტეტი, კონტაქტები, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს ამ ღონისძიების რეალიზაცია.

მოვუწოდებთ ყველას, ვისაც იარაღი აქვს, მოუხმონ გონებას, ჩაბარონ იარაღი შინაგან საქმეთა ადგილობრივ ორგანოებს.

ჩვენი ოჯახების, ყველა ჩვენგანის სიმშვიდე და ბედნიერება დღეს, როგორც არასდროს, დამოკიდებულია ჩვენსავე მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებაზე, სიბრძნეზე და ვაჟკაცობაზე, სიმტკიცეზე.

პირდაპირ ვაცხადებთ: დღეს კიდევ არის შანსი გადავრჩეთ ყველანი და გადარჩეს საქართველო! დღეს კიდევ არის შანსი გადავდგათ ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რისთვისაც მოგიწოდებთ ყველაზ საქართველოს მთავრობა, რომელსაც თქვენი სჯერა და თქვენი გონიერების იმედი აქვს.

გვჯერა, მტკიცედ გვწამს, რომ საქართველო მძიმე განსაცდელს ამჯერადაც დაძლევს!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ასპროცენტიან მიჯნაზე

თელავის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა სამოცდაათი პროცენტით განაახლა ასორტიმენტი. ახლა იგი აღარ რჩება დახლებზე და კონკურენტუნარიანიც გახდა.

წლეულს თელაველი მკერავები სავაჭრო ქსელში გაგზავნიან 19.550 ათასი მანეთის მამაკაცის, ქალისა და ბავშვის მოდური ტანსაცმელს. წლის პირველ ნახევარში, პროდუქციის რეალიზაციისა და მიწოდების მიხედვით, საწარმო ასპროცენტიან მიჯნაზე გავიდა.

სურათზე: მკერავი, თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების მოსწავლე ნინო სესიაშვილი.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი სჯა-ბაასი ძველ მოედანზე

რეპორტაჟი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომიდან

ორი ჟურნალისტი პირველად მიიწვიეს ამ ღონისძიების გასაშუქებლად, რომელიც ყოველთვის დახურულად ითვლებოდა, და არავინ იცოდა უშუალოდ მისი მონაწილე ვიწრო წრის პირთა გარდა. მის შესახებ პრესაში ცნობას ადგენდნენ პრესის წარმომადგენელთა დაუსწრებლად, გზავნიდნენ ოფიციალური დოკუმენტის სახით.

საქმე ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომას. მას უძღვებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

უკვე წინა დღეს ამ სტრიქონების ავტორებმა მიიღეს დღის წესრიგი, ხოლო 28 ივლისს დილით, ცენტრალურ კომიტეტში რომ მივედნენ, ისინი უფრო დაწვრილებითი მასალებით მოამარაგეს.

განიხილეს საკითხი სკკპ XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა პრაქტიკული მუშაობის შესახებ და შეიმუშავეს ამასთან დაკავშირებული პირველი რიგის პროპაგანდისტული და ორგანიზაციული ღონისძიებების გეგმა. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ს. ძასოხოვმა.

პარტიული კომიტეტების წინაშე დასისახა ამოცანა გაშალონ პოლიტიკური ანგარიშის, საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის, „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ". საპროგრამო განცხადების, სკკპ წესდებისა და ყრილობის სხვა დოკუმენტების ფართო განხილვა. ამ მუშაობის განხორციელების დროს უნდა დაეყრდნონ ყრილობისწინა დისკუსიის დროს შემქნილ გამოცდილებას, გამონახონ პროპაგანდისტულ საქმიანობაში ახალი მიდგომები.

პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ გულმოდგინედ და თანამიმდევრულად განახორციელონ სკკპ XXVIII ყრილობის მოთხოვნები პარტიის საქმიანობის ფორმების განახლების, ახალი სკკპ წესდების გამოყენების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობისადმი მუდმივი უყურადღების პირობების შექმნის, არჩევითი პარტიული ორგანოების როლის ზრდის შესახებ.

ცხოვრება ცხოვრებაა თავისი უცილობელი და გარდაუვალი პროზით: ამიტომ თითოეული კომუნისტის უპირველესი მოქალაქეობრივი მოვალეობაა ხელი შეუწყოს იმას, რომ უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, უფრო სწრაფად ავაგოთ ახალი სახლები, გამოვეშვათ მეტი ახალი საქონელი, მოვამზადოთ ზამთრისათვის საწარმოები და კომუნალური მეურნეობა, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა. იმ ღონისძიებების წმინდა საქმიან, თუ განვავთ, მშრალ ნუსხაშიც კი, რომლებმაც შეადგინეს პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მოქმედების გეგმის არსი, თვალნათლივ ჩანს ჩვენი ცხოვრების განახლებით შობილი ცვლილების ცოცხალი ყლორტები. აიღეთ თუნდაც გეგმის კარი, რომელიც ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობას — „ალმოსახთა განსაკუთრებით ახლობელ თემას. იქ, სადაც ლაპარაკია სკკპ გამოცემებზე, ფორმულირებანი თუმცა კი ფორმით მკაცრი არ არის, მაგრამ იმპერატიულია. ასე იყო, ასე არის, უნდა ვივარაუდოთ, ასე იქნება და ეს ნორმალურია.

მაგრამ ან ჩვენი დღეების ნიშანი: „ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რომლებიც არ ეკუთვნიან პარტიას, ავაგოთ კეთილმოსურნე და ამხანაგური საფუძველზე. შევთავაზოთ მათ დასამუშავებლად თემები..."

აი კიდევ: „ეთხოვოს სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს...."

ურთიერთობის სხვა ტონალობა! და ესეც ნორმალურია.

უდავოდ, გარდაქმნის სუნთქვით არის გაჟღენთილი რეკომენდაციები თვით პარტიული აპარატის მისამართით, რაზეც, კერძოდ, ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ო. ს. შენინმა. აღინიშნა, პარტიის ხელმძღვანელმა ეშელონმა უნდა გამართოს შეხვედრები შრომითს კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილას, ინტელიგენციასთან, ვეტერანებთან, პარტიულ, საბჭოთა აქტივთან. მასების შეაგულში ყოფნა უკვე გახდა სკკპ ხელმძღვანელთა ჩვეული პრაქტიკა. აქ მხოლოდ დადასტურდა იმისა, რომ კეთილი და სასარგებლო საქმე გაფართოვდება, გაღრმავდება.

არ გამოგვრჩეს, რომ პარტია ხელს იღებს „ბეტონზე" თავის იდეოლოგიურ საქმიანობაში, რითაც წინა წლებში სცოდავდა. გეგმაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ მუშაობა უნდა ვაწარმოოთ მოქნილად, დიფერენციერებულად, საზოგადოებრივი აზრის, კლასებისა და მოსახლეობის სოციალური ჯგუფების ინტერესების, ადგილობრივი პირობების, კოსტრეტულ კოლექტივებში ვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ორიენტირებულია ფართო დიალოგისათვის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, გაერთიანებასა და მოძრაობასთან, მათ შორის იმათთან, ვისაც აქვს ალტერნატიული წინადადებანი ან საფუძვლიანად განსხვავებული პოზიციები ეკონომიკური რეფორმის რეგულირებადს ბაზარზე გადასვლის საკითხებსა და ამ სფეროს სხვა პრობლემებზე.

მაგრამ დიალოგი, რომლისთვისაც მოგვიწოდებს პარტია, არ ნიშნავს, რომ იგი ვინმეს თავს გაალანძღვინებს, ანდა მოუწოდებს აქციებისათვის, რომლებმაც შეიძლება მოახდინონ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზება. სამდივნომ მოითხოვა შეაკავშირონ მთელი ჯანსაღი ძალები, ითანამშრომლონ, პატივი სცენ კონსტიტუციასა და ხალხის მიერ არჩეულ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

დღეს მთავარია, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, განაზოგადა რა გამართული გაცხოველებული დისკუსია, დავძლიოთ პარტიის ახლანდელი მდგომარეობა. ჩვენ ჩავეფალით შინაპარტიულ საქმეებსა და დისკუსიებში. ეს დაკავშირებული იყო ყრილობებთან, პარტიული დოკუმენტების განხილვასთან. მაგრამ ახლა უკვე ნეგატიურ ელფერს იძენს. ადამიანებმა შეამჩნიეს, რომ გადავყვევით შინაპარტიულ საქმიანობას და არ აღიქვამენ ამას. ჩვენ უნდა დავძლიოთ პარტიის გარკვეული მოწყვეტა ადამიანთა საჭირბოროტო საზრუნავისაგან. უნდა ვიყოთ ხალხთან ერთად, ვიცოდეთ, რაზე ფიქრობს იგი. მუდამ გვახსოვდეს, რომ პარტია ხალხს ემსახურება. მეტისმეტად დიდხანს ვცხოვრობდით ფორმულით: მადლობა პარტიას ამისა და ამისათვის...

ახლა საზოგადოებას თავს დაატყდა ახალი იდეების, დოკუმენტების, კანონების ნაკადი. უნდა დავეხმაროთ ადამიანებს გაერკვნენ, გაიაზრონ ისინი და შეიგნონ, რომ ყველა ეს სიახლე თვით მშრომელთა სასარგებლოდ არის. ვეთანხმები ამხანაგებს, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, რომლებიც ამბობდნენ, რომ უნდა ჩავღრმავდეთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. იქ ახლა მთავარი რამ კეთდება. საერთოდ პარტიული კომიტეტები აქტიურად უნდა ამყარებდნენ კონტაქტებს კარგახსნილი იყვნენ ადამიანებისათვის, კარი გაუღონ პარტიულ ცოდნას, დაე, აქ იმართებოდეს შეხვედრები საზოგადოებრიობასთან, დისკუსიები, ეწყობოდეს პარტიული კლუბები. ამხანაგებო, უნდა შევცვალოთ ჩვენი მუშაობის თვით სტილი. მისი გასაღები უნდა გახდეს კარგახსნილობა და კიდევ ერთხელ კარგახსნილობა.

უნდა შეგხვდოთ პარტიულ კადრებს, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. იმათ, ვისაც უნარი შესწევს საქმე აწარმოოს ახლებურად, პარტიის ახალი ფუნქციების შესაბამისად, მხარი უნდა დავუჭიროთ. ხოლო ისინი, ვინც მომზადებული არ არის ამისათვის, დაე, დაუბრუნდნენ უწონელ სამუშაო ადგილს. უნდა ხდებოდეს კადრების განახლება — ყველა რგოლში. უფრო გაბედულად უნდა ავიყვანოთ პარტიულ სამუშაოზე ახალი, ავტორიტეტიანი, ახლებურად მოაზროვნე ადამიანები. ისინი, ვინც უკვე დაიწინაურა თვით გარდაქმნამ, ვინც დადასტურა თავისი მტკიცე ერთგულება საზოგადოებრივი ინტერესებისადმი, მკაფიოდ წარმოაჩინა თავი ყრილობაზეც და ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ყოველივე ეს ეხება ცენტრალური კომიტეტის აპარატსაც.

პროპაგანდა უნდა გავუწიოთ ყრილობის იდეებს არა თეზისებისა და ციტატების მეშვეობით, არამედ უწონარეს ყოვლისა ცხოვრებაში კონკრეტული ნოვაციების მეშვეობით. უნდა ვიყოთ იქ, სადაც ადამიანები არიან. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საზოგადოების მტკივნეულ სფეროებს: ეკოლოგიას, მიწის რეფორმას, კონვერსიას. უნდა ამოვძირკვოთ ტექნოკრატიული მიდგომა მუშაობაში. პარტიამ, თუ ვნებავთ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს თავისი მომკითხველობითი როლი, თქვა გენერალურმა მდივანმა, თუ საჭიროა, გამოავლინოს თავი კონსტრუქციული ოპოზიციითაც იმავე საბჭოს მიმართ, სამეურნეო მუშაკებისადმი და ა. შ. მკაცრად გააკრიტიკოს ყოველგვარი უსიცოცხლობა საზოგადოებაში, გალაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ ადამიანებს თავს მოახვიონ ცხოვრებისა და შრომის ხელოვნური მოდელები.

აქ დამსწრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს მოვუწოდებ დაეხმარონ პარტიას მის კონსტრუქციულ და ძნელ მუშაობაში, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. კომუნისტები პრესაში შემოქმედებითად, გამორჩეულად უნდა მუშაობდნენ. ხალხს, გარდაქმნას პარტია სჭირდება, მაგრამ იგი უნდა გარდაქმნათ და გავაახლოთ, რათა იგი მართლაც მოქალაქეობრივი თანხმობის პარტია გახდეს. ჩვენ, ამხანაგებო, უდიდესი რეზერვები გვაქვს. წინა ათწლეულებშიც, ცნობილი შეცდომების, დეფორმაციების, მსხვერპლის მიუხედავად, ჩვენმა ხალხმა არსებითი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. იგივე კაპიტალიზმმა ბევრი რამ აიღო ჩვენგან, განსაკუთრებით, სოციალურ სფეროში. უეჭველია, გარდაქმნა აგრეთვე გაამდიდრებს პროგრესს, მსოფლიოს ადამიანთა გამოცდილებას.

სხდომაზე ლაპარაკი იყო რუსეთის სფსრ კომპარტიის დამფუძნებელი ყრილობის მეორე ეტაპისათვის მზადებაზე. ამის შესახებ დამსწრეთ მოახსენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რუსეთის სფსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. კ. პოლოზკოვმა.

„დამოკიდებულება ინიციატივებისა და აქციებისადმი, რომლებსაც ახორციელებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია და მოძრაობა" — ასე ეწოდებოდა დღის წესრიგის კიდევ ერთ საკითხს. ამ საკითხის გამო ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ა. კუპცოვმა. გამოითქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს ზოგიერთი ორგანიზაციისა და მოძრაობის საქმიანობა პროვოკაციულად იწვევს სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის ზრდას.

ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა დაახასიათა ჩვენი საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობა და მოუწოდა კონსტრუქციული დიალოგისათვის, თანამშრომლობისათვის ყველა მოძრაობასთან, რომლებიც კომუნისტურ, სოციალისტურ საფუძველზე დგანან. უნდა გამოვიყენოთ ყოველივე სასარგებლო, უარი ვთქვათ ჭეშმარიტებისადმი მონოპოლიაზე, ვისწავლოთ ბოლოს და ბოლოს არა მარტო ლაპარაკი, დამოძღვრა, არამედ მოსმენაც. საზოგადოებრივ მოძრაობებში, რომლებიც დღეს წარმოიშობა, ბევრი საქმიანი, ნამდვილად გარდამქმნელი რამ არის და ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა, როგორც კი ყრილობაზეც ითქვა, საზოგადოებაში მთელი პროგრესული ძალების ფართო ქოალიცია, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა.

... რაც გინდა თქვით, პარტიული საჯაროობა XIX პარტკონფერენციის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ხოლო XXVIII ყრილობამ მას მოწიფულობისა და სიმტკიცის ნიშნები მიანიჭა. და ეს, ჩვენ, ჟურნალისტებს, იმედს გვინერგავს. პრესაში ხომ მუშაობს მრავალი ადამიანი, რომლებმაც თავიანთი ბედი, თავიანთი ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, თავიანთი შემოქმედებითი შრომა მიუძღვნეს პარტიისა და ქვეყნის აღორძინების იდეალებს. და რახან ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს კომუნისტებს მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებებთან, რომლებიც არ ეკუთვნიან პარტიას, თავიანთი ურთიერთობა ააგონ ამხანაგურად, პარტიული კომიტეტებისა და პარტიული გაზეთების ურთიერთობა ეკონდა მაქსიმალურად წრფელი და კარგახსნილი იყოს. ეს არის არა ჟურნალისტური პირველობა, არამედ ჩვენი რთული და წინააღმდეგობრივი დროის კარნახი, როცა რეალობა ხდება მრავალპარტიულობა მისგან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. დრო ჩვენი ძალების შეკავშირებასაც მოითხოვს. და თუ ჩვენს თავს თანამოაზრეებს ვუწოდებთ, ვიყოთ ასეთები ყველაფერში.

მაშ ასე, პირველი რეპორტაჟი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომიდან. ახალი ცენტრალური კომიტეტის პირველი სამდივნო. და გვინდა გვჯეროდეს — განახლების გზაზე მდგომი პარტიისა.

ვ. ბეზბრალენი.
ა. პეტრუშოვი.
(სპეციალ.-„პრავდა").

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შტაბში

29 ივლისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას ხელმძღვანელობით გაიმართა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბის სხდომა.

მოისმინეს ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის რევაზ ყიფიანის ინფორმაცია რკინიგზაზე შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ, რაც გამოწვეულია სამტრედიის რკინიგზის კვანძის ბლოკირებით წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით მიმდინარე აქციის მონაწილეთა მიერ.

ცნობად იქნა მიღებული, რომ აღნიშნული ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის განმუხტვის მიზნით.

შტაბის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით თბილისში, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურების მუშაობის რადიკალურად გაუმჯობესების, შექმნილი მდგომარეობის ძირფესვიანი და ოპერატიული გამოსწორების საკითხები.

ამასთან დაკავშირებით მოისმინეს რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის გიორგი ცინცაძის ინფორმაცია.

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. ავტოინსპექციის ხელმძღვანელობას მიეცა კატეგორიული მითითება დაუყოვნებლივ განახორციელოს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, რაც აუცილებელია დედაქალაქის ქუჩებში წესრიგის აღდგენისათვის, ავტოინსპექციის ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

შტაბის სხდომაზე განიხილეს და მიიღეს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მიმართვა პრესაში ქვეყნდება.

• • •

30 ივლისს გაიმართა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბის მორიგი სხდომა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის კვანძის წმინდა ილია მართლის საზოგადოების მიერ ორგანიზებული ბლოკირებით გამოწვეული ურთულესი მდგომარეობისა და მისი განმუხტვისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შტაბის სხდომას მოახსენეს სამტრედიის რაიონის საბჭოთა და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებმა.

შტაბმა ჩათვალა, რომ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ექსტრემალურ პირობებში მუშაობისათვის მზად არ აღმოჩნდნენ. მათ მიეცათ საჭირო მითითებები საქმიანობის გაჯანსაღების და მისი ეფექტიანობის გაზრდის გზით, აქციის მონაწილეებთან, მათ ხელმძღვანელებთან კონსტრუქციული დიალოგის მეშვეობით, საზოგადოების ინტერესებისა და პრინციპული პოზიციების, აგრეთვე არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული „შესაბამისობით შეანელონ ვითარების სიმძაფრე და მოაწესრიგონ მდგომარეობა.

აღინიშნა ისიც, თუ რა ექსტრაორდინარულ ღონისძიებებს განახორციელებენ რესპუბლიკური ორგანოები რკინიგზის დებლოკირებისათვის, რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით, საწვავით და სხვა აუცილებელი პროდუქტებით, აგრეთვე სამრეწველო და სასოფლო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს საჭირო მასალითა და ნედლეულით მომარაგების მიზნით.

„სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის "შესახებ" სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების რეალიზაციისა და რესპუბლიკაში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ამ სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსმა გრიგოლ შალამბერიძემ.

განხილულ საკითხებზე შტაბის სხდომამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 29 ივლისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

ახალი საოკავშირეო ხელშეკრულების მოამზადების პერიოდში საფინანსო-საკრედიტო საკითხებზე საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების თანამოქმედების შესახებ

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის განმტკიცება და ბაზრითარება გულისხმობს ქვეყანაში საფინანსო და საკრედიტო-ფულადი ურთიერთობის რადიკალურ გარდაქმნას. მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში ხორცელდება პრაქტიკული ღონისძიებანი საფინანსო და საბანკო სისტემის გარდაქმნისათვის. დაიწყო სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკების დაწესებულებათა კომერციულ ბანკებად გარდაქმნის პროცესი, იზრდება სახელმწიფო ბანკების როლი, მტკიცდება მათი დამოუკიდებლობა და ძლიერდება პასუხისმგებლობა. ყოველივე ეს ობიექტურ ტენდენციებს ასახავს.

ამავე დროს რესპუბლიკური და საკავშირო ორგანოების ცალკეულ გადაწყვეტილებებს რეალურად ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობის, სსრ კავშირის ფარგლებში რესპუბლიკათა თანამშრომლობის, აგრეთვე მთელი ქვეყნის და მისი მოქალაქეების ხანგრძლივი ინტერესების გაუთვალისწინებლად იღებენ.

ნეგატიური ტენდენციების დაძლევისათვის, გადაუდებელ ამოცანათა გადასაწყვეტად ძალისხმევის კონსოლიდაციისათვის, საერთო-საკავშირო ბაზრის ფორმირებისათვის საჭიროა შევიმუშაოთ ერთიანი პრინციპები და მიდგომები სსრ კავშირში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის ორგანიზაციისადმი და გამოვიყენოთ ისინი სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადებისას. ამ მიზნით **ვადგენ:**

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად საფუძვლიანად დაამუშაოს საფინანსო-საკრედიტო და სხვა ეკონომიკური საკითხები, რომლებიც ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების საგანია.

რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე თავი შეიკავონ იმ საკანონმდებლო აქტების მიღებისა და გამოყენებისაგან, რომლებიც ანგრევენ შექმნილ საფინანსო და საბანკო სისტემას.

2. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე პერიოდისათვის საერთო საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის შემუშავებისა და ბანკის სისტემის ერთობლივი მართვისათვის შეიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საბჭო სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის თავმჯდომარისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბანკების ხელმძღვანელთა შემადგენლობით. იხელმძღვანელონ ამ მუშაობაში სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობით.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კანონის პროექტთან ერთად განიხილოს მისი ანგარიშვალდებულების საკითხი.

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებულ იქნეს სსრ კავშირის ბანკების მიერ სესხის და ანგარიშსწორების განხორციელების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი.

3. მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების ყურადღებას მივაპყრობ უარყოფითს სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის ერთიანი ფულადი სისტემის ნგრევამ, რესპუბლიკური ფულის შემოღებამ, რომელსაც აქვს მომოქცევის დაბუღული სფერო. ქვეყნის ფინანსების გაჯანსაღებისათვის საჭიროა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საერთო ძალისხმევა, აქტიური, შეთანხმებული ფულადი და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება.

ვთავაზობ მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს 1991 წლისა და მომდევნო წლების ბიუჯეტების შემუშავებისას მიიღწიონ მათს მაქსიმალურ შეწონასწორებას, მკაცრად იხელმძღვანელონ ახალი საგადასახადო კანონმდებლობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ეს ხელს შეუწყობს ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის "შესახებ" სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში უკიდურესად დაიძაბა ოპერატიული ვითარება, გაუარესდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობა. გახშირდა იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით თავდასხმები მილიციის მუშაკებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე, შინაგან საქმეთა ორგანოების განყოფილებებსა და სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე.

მოსახლეობაში დიდძალი იარაღის, ტყვ

ნახევარი წლის შედეგები

სახალხო მეურნეობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლეულში წინაღმდეგობრივად ვითარდებოდა. გრძელდებოდა მისი სტრუქტურული გარდაქმნა, ხელახალი სოციალური ორიენტაცია, ნათქვამია 1990 წლის პირველ ნახევარწლეულში სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ სსრ კავშირის სტატისტიკრმის ცნობაში. იზრდებოდა სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის წარმოება. ფართოვდებოდა მეურნეობრიობის თანამედროვე ფორმების გამოყენება.

ამავე დროს ეკონომიკა არ გაჯანსაღებულა. სახალხო მეურნეობის განვითარებაში გაძლიერდა კრიზისული მოვლენები. გასული წლის მეორე ნახევარწლეულში საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის შენელება შეცვალა მისი მასშტაბებისა და ეფექტიანობის შემცირებამ. ეკონომიკაში ნეგატიური ტენდენციები განაპირობა ყველა დონეზე მეურნეობის მართვადობის გაუარესებამ სამეურნეო კავშირურთიერთობის დარღვევამ, სუსტმა შრომის და საწარმოო დისციპლინამ, დიდმნიშვნელოვან სახეობათა ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების იძულებითმა შემცირებამ. არ არის პოზიტიური ცვლილებანი საინვესტიციო სფეროში. წარმოების მოცულობათა შემცირებას მოჰყვა მოგების შემცირება მატერიალურ სფეროში, იკლო მისმა ანარიცხებმა ბიუჯეტში, შენარჩუნებულია შრომის ანაზღაურების უპირატესი ზრდა პროდუქციის გამოშვებასთან შედარებით, რამაც თავის მხრივ გაამწვავა მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე. გაიზარდა ფულის ემისია. გრძელდებოდა სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდა. დაქვეითდა მანეთის ყიდგგელობითი უნარი. საგარეოსავაჭრო ბალანსის სალდო კვლავ უარყოფითია.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლეულში შემცირდა ერთი პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 2 პროცენტით, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 1,5 პროცენტით.

პირველ ნახევარწლეულში იარითი მუშობდა 1,9 ათასი სამრეწველო საწარმო (1,3 მილიონი კაცი), 150-ზე მეტი სამშენებლო ტრესტი, თითქმის 450 სამშენებლო სამმართველო, საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის დარღვევამ, სუსტმა შრომის და საწარმოო დისციპლინამ, დიდმნიშვნელოვან სახეობათა ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების იძულებითმა შემცირებამ. არ არის პოზიტიური ცვლილებანი საინვესტიციო სფეროში. წარმოების მოცულობათა შემცირებას მოჰყვა მოგების შემცირება მატერიალურ სფეროში, იკლო მისმა ანარიცხებმა ბიუჯეტში, შენარჩუნებულია შრომის ანაზღაურების უპირატესი ზრდა პროდუქციის გამოშვებასთან შედარებით, რამაც თავის მხრივ გაამწვავა მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე. გაიზარდა ფულის ემისია. გრძელდებოდა სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდა. დაქვეითდა მანეთის ყიდგგელობითი უნარი. საგარეოსავაჭრო ბალანსის სალდო კვლავ უარყოფითია.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლეულში შემცირდა ერთი პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 2 პროცენტით, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 1,5 პროცენტით.

პირველ ნახევარწლეულში იარით მუშობდა 1,9 ათასი სამრეწველო საწარმო (1,3 მილიონი კაცი), 150-ზე მეტი სამშენებლო ტრესტი, თითქმის 450 სამშენებლო სამმართველო, საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის დარღვევამ, სუსტმა შრომის და საწარმოო დისციპლინამ, დიდმნიშვნელოვან სახეობათა ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების იძულებითმა შემცირებამ. არ არის პოზიტიური ცვლილებანი საინვესტიციო სფეროში. წარმოების მოცულობათა შემცირებას მოჰყვა მოგების შემცირება მატერიალურ სფეროში, იკლო მისმა ანარიცხებმა ბიუჯეტში, შენარჩუნებულია შრომის ანაზღაურების უპირატესი ზრდა პროდუქციის გამოშვებასთან შედარებით, რამაც თავის მხრივ გაამწვავა მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე. გაიზარდა ფულის ემისია. გრძელდებოდა სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდა. დაქვეითდა მანეთის ყიდგგელობითი უნარი. საგარეოსავაჭრო ბალანსის სალდო კვლავ უარყოფითია.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლეულში შემცირდა ერთი პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 2 პროცენტით, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 1,5 პროცენტით.

პირველ ნახევარწლეულში იარით მუშობდა 1,9 ათასი სამრეწველო საწარმო (1,3 მილიონი კაცი), 150-ზე მეტი სამშენებლო ტრესტი, თითქმის 450 სამშენებლო სამმართველო, საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის დარღვევამ, სუსტმა შრომის და საწარმოო დისციპლინამ, დიდმნიშვნელოვან სახეობათა ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაკეთობების იძულებითმა შემცირებამ. არ არის პოზიტიური ცვლილებანი საინვესტიციო სფეროში. წარმოების მოცულობათა შემცირებას მოჰყვა მოგების შემცირება მატერიალურ სფეროში, იკლო მისმა ანარიცხებმა ბიუჯეტში, შენარჩუნებულია შრომის ანაზღაურების უპირატესი ზრდა პროდუქციის გამოშვებასთან შედარებით, რამაც თავის მხრივ გაამწვავა მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე. გაიზარდა ფულის ემისია. გრძელდებოდა სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდა. დაქვეითდა მანეთის ყიდგგელობითი უნარი. საგარეოსავაჭრო ბალანსის სალდო კვლავ უარყოფითია.

(პირველი ნახევარწლეულის გეგმის 102,9 პროცენტი) ბრუნვის გადასახადი, რაც 5,6 მილიარდი მანეთით, ანუ 10,4 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარწლეულში.

ხუთ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 193 მილიარდი მანეთი პირველი ნახევარწლეულის გეგმის 74,9 პროცენტი). აქედან სახალხო მეურნეობისათვის დანახარჯებმა შეადგინა 38 პროცენტი, მეცნიერებისათვის — 2, სოციალურ-კულტურული ღონისძიებისათვის — 33, თავდაცვისათვის — 16, სამართალდაცვითი ორგანოების მართვისა და შენახვისათვის — 3, საგარეოეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებისათვის — 5 პროცენტი.

ფულის გამოშვებამ 9 პროცენტით გადააჭარბა 1989 წლის პირველი ნახევარწლეულის დონეს.

მოსახლეობის ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 300,4 მილიარდი მანეთი და 1989 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით გაიზარდა 12,9 პროცენტით (მაშინ, როცა წლის საგეგმო განაგრძობებით 7,1 პროცენტია). სახალხო მეურნეობაში 1990 წლის პირველ ნახევარწლეულში მუშაობა და მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ხელფასმა მიაღწია 257 მანეთს გასული წლის შესაბამის პერიოდში 236 მანეთთან შედარებით; კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ — შესაბამისად 187 მანეთსა და 166 მანეთს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად განვლილ პერიოდში ხელფასი მოემატათ ჩრდილოეთის ეკონომიკურ რაიონში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში და ზოგიერთ სხვა ადგილას განლაგებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების; მუზეუმებისა და გამოფენების; სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების; ქვანახშირის, ფიქლის მრეწველობისა და საშახტო მშენებლობის მუშაკებს და ზოგიერთ სხვას. მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 93 მილიარდი მანეთი გადასახდელები და შეღავათები, რაც 7,4 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარწლეულში.

საქონლის შეძენისა და მომსახურების ანაზღაურებისათვის მოსახლეობის ხარჯები (სამომხმარებლო ხარჯები) გაიზარდა 14,2 პროცენტით. სასურსათო პროდუქტების საყიდლად მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახების ხარჯები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით; კოლმეურნეთა ოჯახებისა — 7 პროცენტით; არასასურსათო საქონლის საყიდლად — შესაბამისად 17 და 13 პროცენტით.

მოიმატა საქონლისა და მომსახურების ფასებმა, მათ კრებსითმა ინდექსმა პირველ ნახევარწლეულში შეადგინა 102,8 პროცენტი. არასასურსათო საქონლის ფასებმა მოიმატა 5 პროცენტით, პრაქტიკულად გაძვირდა ყოველგვარი სასურსათო საქონელი.

არ შეცვლილა მეტი წილი სასურსათო პროდუქტების სახელმწიფო ფასები. ამავე დროს საგრძნობლად გაძვირდა კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი. მთლიანად სასურსათო საქონლის მიხედვით ფასების ინდექსმა შეადგინა 101 პროცენტი. საყოფაცხოვრებო ბაზრის ფასები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 18 პროცენტით.

1 ივლისისათვის სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში მოსახლეობის ანაბრებმა შეადგინა 353,9 მილიარდი მანეთი, რაც 16 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე წლის დამდეგისათვის. ამასთან მაის-ივნისში მკვეთრად გაიზარდა ანაბრებიდან ნაღდი ფულის გაცემა.

1990 წლის 1 ივლისისათვის ქვეყნის შრომთმა რესურსებმა 164 მილიონს გადააჭარბა. საქმიანობის ყველა სფეროში დასაქმებულია 136,6 მილიონი კაცი. რაოდენობა შრომისუნარიანი ასაკის შრომისუნარიანი მოსახლეობისა, რომელიც დასაქმებული არ არის სახალხო მეურნეობაში და არ სწავლობს, 8 მილიონს აღემატება.

სახალხო მეურნეობას იანვარ-თებერვალში გაფიცვებისა და ეროვნებათშორისი და სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების ნიადაგზე სამუშაოზე მასობრივი გამოუსვლელობის გამო მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში ჰქონდათ სამუშაო დროის დანაკარგები, რომლებმაც 9 მილიონ კაცდღე მიაღწია. მომდევნო თვეებში ეს პროცესი შეჩერდა, და მთლიანად პირველ ნახევარწლეულში დანაკარგებმა შეადგინა 10 მილიონი კაცდღე, რაც იმის ტოლფასია, რომ ყოველდღიურად სამუშაო ადგილებზე საშუალოდ დაახლოებით 75 ათასი კაცი არ არის, პროდუქციის პირდაპირმა დანაკარგებმა (შეუსრულებელი სამუშაოები) ამ მიზეზით შეადგინა 0,9 მილიარდი მანეთი.

თუმცა ნახევარწლეულში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება 6,7 პროცენტით გაიზარდა, მისი წარმოება ნაკლებია, ვიდრე გათვალისწინებულია საგეგმო განაგრძობებით.

ვაჭრობაში მიმდინარე წარმოების ხარჯზე გაგზავნილია 182,6 მილიარდი მანეთის საქონელი, ანუ 13,4 მილიარდი მანეთით (7,9 პროცენტით) მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. იმპორტით შემოსული 5,6 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების (1,3-ჯერ მეტი) საქონელი. ვაჭრობაში გაგზავნილი სასაქონლო რესურსების საერთო მოცულობამ უზრუნველყო საცალო საქონელბრუნვის ზრდა 29,4 მილიარდი მანეთით, ანუ 15,3 პროცენტით ფაქტობრივი ფასებით. მიმდინარე წლის საქონელბრუნვისათვის დამახასიათებელია მისი მატების უპირატესი, 69 პროცენტით, უზრუნველყოფა რეალური სასაქონლო შევსების ხარჯზე.

საერთო სარგებლობის სამგზავრო ტრანსპორტით პირველ ნახევარწლეულში გადაყვანილია 27,8 მილიარდი კაცი, რაც 0,6 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის იანვარ-ივნისში. მგზავრთბრუნვის სახელმწიფო შეკვეთა რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა 100,9 პროცენტით, საავიაციომ — 103,3 პროცენტით. არ უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება. იზრდება ავარიულობა ტრანსპორტზე.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდა 43,8 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 670 ათასზე მეტი ბინა. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა შემცირდა 2,9 მილიონი კვადრატული მეტრით, ანუ 6 პროცენტით. სკოლების, სკოლამდელი აღზრდა წესებულებების, პროფტექნიკური სასწავლებლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, კლუბებისა და კულტურის სახლების მშენებლობის წლიური გეგმა შესრულდა მეოთხედზე ნაკლებად.

არასრული საშუალო განათლება მიიღო 4,2 მილიონმა კაცმა, საშუალო — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 2,5 მილიონმა მოწესებულებების პროფტექნიკური სასწავლებლებში პროფესია მიიღო 2 მილიონზე მეტმა ქალიშვილმა და ჰაბუკმა. უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა მოამზადეს 1,9 მილიონი სპეციალისტი სახალხო მეურნეობისათვის.

სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევები გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა 1,9 მილიონი ტონით, ანუ თითქმის 7 პროცენტით. ამავე დროს, საერთო შემცირების მიუხედავად, 10,2 ათასმა საწარმომ 1,4 მილიონი ტონით გაზარდა გამჭუჭყიანებელების გამონაფრქვევი სპაერო აუზში, საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს მრავალი წყალსატევის მდგომარეობა.

იანვარ-ივნისში რეგისტრირებულია თითქმის 1,3 მილიონი დანაშაული, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14,6 პროცენტით მეტი, მაგრამ მიმდინარე წლის მატების ტემპი უფრო ნაკლებია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში (32,1 პროცენტი). დამნაშავეობის ზრდა აღინიშნა პრაქტიკულად ყველა რეგიონში.

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გასული წლის პირველ ნახევარწლეულთან შედარებით შემცირდა 0,7 პროცენტით. მიმდინარე წელს მრეწველობის მუშაობის შედეგებზე აისახა სამხედრო პროდუქციის წარმოების მოცულობის გათვალისწინებული შემცირება და თავდაცვითი მრეწველობის მთელი რიგი საწარმოებისა და წარმოებების პროფილის შეცვლა სამოქალაქო დანიშნულების ნაკეთობა გამოშვებისათვის. პირველ ნახევარწლეულში სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის წარმოება თავდაცვითს დარგებში გაიზარდა 22,5 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსს გადამმუშავებელი დარგებისათვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი საწარმოებისათვის განკუთვნილი ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოშვება — 1,2-ჯერ. მაგრამ სამოქალაქო პროდუქციის წარმოების ასეთი ზრდა ჯერჯერობით არ ახდენს სამხედრო პროდუქციის გამოშვების შემცირების კომპენსაციას, რის შედეგადაც თავდაცვითს დარგებში შარშნდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების საერთო მოცულობა შემცირდა.

მოხმარების საგნების წარმოება („ბ" ჯგუფი) გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5,2 პროცენტით, წარმოების საშუალებათა წარმოება („ა" ჯგუფი) კი შემცირდა 2,8 პროცენტით.

პირველ ნახევარწლეულში მომხმარებლებს დააკლდა 5,3 მილიარდი მანეთის პროდუქცია, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. იანვარ-ივნისში სახელშეკრულებო ვალდებულებანი შესრულდა 98,6 პროცენტით, მათი შესრულება ვერ უზრუნველყო საწარმოთა 18 პროცენტზე.

პირველ ნახევარწლეულში აგრო სამრეწველო კომპლექსში წარმოებულია 69,6 მილიარდი მანეთის სასურსათო საქონელი. მისი წარმოების მატებამ შეადგინა 1,2 მილიარდი მანეთი, წლის საგეგმო გაანგარიშებებით კი 11 მილიარდი მანეთია.

მთლიანად ქვეყანაში პირველ ნახევარწლეულში ხორცის წარმოების დონე შარშანდელზე ნაკლებია, რაც გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ხორცის სამრეწველო გამომუშავების შემცირებისა და ხორცის პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუარესების ძირითადი მიზეზი გახდა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია ნაკლები კვერცხი.

საერთო-საკავშირო ფონდში ხორცისა და ხორცეულის მიწოდების ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 86 პროცენტით, რძისა და მისი პროდუქტებისა — 97 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით შესყიდულია ნაკლები ბოსტნეული.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების თესვა. სულ 1990 წლის მოსავლისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესმა ფართობებმა შეადგინა 207,5 მილიონი ჰექტარი (1989 წელს — 209,3 მილიონი ჰექტარი). მარცვლეული და სამარცვლე პარკოსნები დაითესა 111 მილიონ ჰექტარზე 1989 წელს 112,9 მილიონი ჰექტარის ნაცვლად. კარტოფილი დათესილია 5,8 მილიონ ჰექტარზე, ანუ 172 ათასი ჰექტარით ნაკლებზე, ვიდრე შარშან.

მარცვლეულის ასაღები და სიმინდის ასაღები კომბაინების, მარცვლეულის საწმენდი მანქანების, მწკრივთსამკელების, საწველი დანადგარების, კარტოფილის ასაღები და დასაწვმენდელი მანქანების სოფლის მეურნეობისათვის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი არ შესრულებულა. მიწოდებულია შარშანდელთან შედარებით ნაკლები მინერალური სასუქები და კირიანი მასალები შესაბამისად 1,8 და 2,8 მილიონი ტონით.

აგროსამრეწველო კომპლექსის, მათ შორის იმ დარგების განვითარებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობას წარმოების საშუალებებით, დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე გამოყენებულია 27 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება, რამაც შეადგინა საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოცულობის 40 პროცენტი.

კაპიტალურ მშენებლობაში ჩაიშალა სახელმწიფო შეკვეთის ობიექტების ამოქმედების 1990 წლის პირველი ნახევარწლეულის პროგრამა. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე ძირითადი ფონდების ამოქმედებამ შეადგინა 47,6 მილიარდი მანეთი, რაც 3 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში. ათვისებულია 78,6 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, ანუ 7 პროცენტით ნაკლები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრების ხარჯზე დაფინანსებული ინვესტიციების წილმა შეადგინა სახელმწიფო საწარმოთა კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის 56 პროცენტი 1989 წლის პირველ ნახევარწლეულში 47 პროცენტთან შედარებით.

მშენებლობის ხანგრძლივობა კვლავინდებურად ორჯერ მეტია ნორმატიულზე, კვლავ გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში შეიმჩნევა საიმპორტო შესყიდვათა ზრდა, ამასთან მნიშვნელოვნად მცირდება საქონლის გაყიდვით ამონაგების მოცულობა. ამის შედეგად ქვეყნის უარყოფითი საგარეო-საგაჭრო სალდო პირველ ნახევარწლეულში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 2,5-ჯერ და მეტად.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში საექსპორტო მიწოდებანი პირველ ნახევარწლეულში 10,2 პროცენტით შემცირდა და 16,9 მილიარდი მანეთი შეადგინა. ამ ქვეყნებში შესყიდულია 19,6 მილიარდი მანეთის საქონელი, რაც 1989 წლის პირველი ნახევარწლეულის დონესთან შედარებით 93,9 პროცენტს შეადგენს.

კაპიტალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის ვაჭრობაში შეიმჩნევა იმპორტული საქონლის მიწოდებისათვის დავალიანების ზრდა. ამ ქვეყნებში ეგზპორტირებულია 11,5 მილიარდი მანეთი საქონელი (შემცირება 8,2 პროცენტით) იმპორტირებულია 15 მილიარდი მანეთის (ზრდა 13,3 პროცენტით) საქონელი.

სამომხმარებლო ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის იმპორტი, ამ საქონლის წილმა იმპორტის საერთო მოცულობაში შეადგინა 35 პროცენტი. იზრდება პროდუქციის მიწოდებათა მოცულობანი ფულადი ანგარიშწორების გარეშე საქონელგაცვლის ბარტერული გარიგებების წესით, რასაც ახორციელებენ საწარმოები, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და ფირმებთან.

1 ივლისისათვის რეგისტრირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის 15 ათასზე მეტი მონაწილე. შეიქმნა 1830 ერთობლივი საწარმო სახელგარეთის ქვეყნების ფირმებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით.

(საკდსი).

ეს ხელს შეუწყობს ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციას

(დასასრული)

სახლეობის სამართლიან უკმაყოფილებასა და შეშფოთებას, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ მდგომარეობის დაუყოვნებლივ ნორმალიზაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ, სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შექმნილი შეიარაღებული ფორმირებანი (შეიარაღებული გერმანიანები, რაზმები, რაზმეულები, ქვეგანაყოფები, ლეგიონები და სხვა შეიარაღებული ჯგუფები), რომლებიც გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობით, უკანონოა და უნდა დაიშალოს 15 დღის ვადაში პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების მომენტიდან; ამავე ვადაში ამ ფორმირებათა, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა ხელთ უკანონოდ არსებული იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, საბრძოლო ტექნიკა და სხვა სამხედრო ქონება უნდა ჩაბარდეს შინაგან საქმეთა ორგანოებს; ნებისმიერი ორგანიზაციისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა გადაწყვეტილებებსა და მოქმედებას, რომელთა მიზანია წინათ შექმნილი შეიარაღებული ფორმირებების შენარჩუნება ან ახალთა შექმნა, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის კანონმდებლობით, არა აქვს იურიდიული ძალა და იწვევს პასუხისგებას კანონის შესაბამისად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს და მათს შესაბამის რგოლებს დაევალთ განსაზღვრულ ვადებში სსრ კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა ჩამორთმევა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოებს ალმასკომებს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და ანალიზური მასალების სისტემატური პუბლიკაცია, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა გამოსვლები იმ ღონისძიებების გასაშუქებლად, რომლებსაც ახორციელებენ ისინი რესპუბლიკაში, რეგიონში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მართლწესრიგის დასამყარებლად, ამორალური, სისხლის სამართლის დანაშაულობათა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კონტაქტების გაძლიერების, მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. შ. გორგოძე) დაევალა განმტკიცოს სამინისტროს პრესცენტრი, დააკომპლექტოს იგი საჭირო რაოდენობის საშტატო ერთეულებით, პროფესიონალი ჟურნალისტებითა და იურისტებით, უზრუნველყოს მისი ოპერატიული, მოქნილი და ეფექტიანი ფუნქციონირება, შექმნას პრესცენტრთან ტელე-და რადიოჯგუფები, აღჭურვოს ისინი თანამედროვე ვიდეო- და რადიოაპარატურით, ტრანსპორტით.

ეცნობად არის მიღებული, რომ მზადდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველთვიური ბიულეტენის გამოცემა.

რესპუბლიკაში სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მართლწესრიგის დამყარების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობის, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სახელმწიფო სამართლის განყოფილება.

ადგილებზე მუშაობის ორგანიზაციისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად არის მიჩნეული რესპუბლიკის რეგიონებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა მიმაგრება. მათ დაეალათ უზრუნველყონ სამართალდამცველი და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ქმედით ღონისძიებათა გეგმაგრაფიკების შემუშავება და დაუწესონ კონტროლი მათს განხორციელებას.

„სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ" სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის მიზნით და რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად შეიქმნა რესპუბლიკური შტაბი შემდეგი შემადგენლობით: ნ. ჭითანავა (შტაბის ხელმძღვანელი), ო. გონაძე, შ. გორგოძე, ტ. ლორთქიფანიძე, ვ. რაზმაძე, ვ. შარაშენიძე.

შტაბის კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებანი, მითითებანი და დადგენილებანი სავალდებულოა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებებისათვის.

საქართველოს მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა სსრ კავშირის პრეზიდენტის ამა წლის 25 ივლისის ბრძანებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა კონკრეტული ღონისძიებებიც.

(საკინფორმი).

მაღლი და მაღლიერება

საუბარი უქმე დღეს

ანუ კეთილი სიტყვა კარგ ხელმძღვანელზე

—ბამარჯობა, ჩემო ბატონო! რეზნიის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნიდანა ვარ. ამ კვირა დღესაც იქედან მოვდივარ. გული სიხარულითა და მადლიერებითა მაქვს სავსე. თქვენთანაც ამიტომ შემოვბედე. უწინ მოგდლეს ეუბნებოდნენ აღსარებას, ახლა— ურბალოსტებს... არ გეწყინოთ, ჩემო ბატონო, ეხუმრობ, აჯარელი კაცი ვარ. აქ ჩვენმა უბედურებამ ერთ ნამდვილ ადამიანს შემახვედრა და იმ კაცზე კეთილი სიტყვის სათქმელადა ვარ მოსული. ჩვენი ქარხნის დირექტორზე გეუბნებით ნუგზარ მეჭიდლიშვილზე. ალბათ ამისთანებზე თუ თუქვამთ, მაგისი სიტყვა ჭრისო. ვთქვათ, კაცმა ცოტა წყიზარმაცა, იგი მხრებზე მოუთათუნებს ხელებს, მეტი შეგიძლიაო, შეგაულიანებს და... ისიც ბეჯითდება. არა, მე ასეთი გულითადი ხელმძღვანელის მხატველი, საცაა ნახევარ საუკუნეს მოვთათვებ და „არა ვარ.

უსმოდ ვუსმენდი.

— იცით ახლა რატომ მოვედი აქ? დასვენების დღეა, მაგრამ გულმა მაინც ქარხნისკენ გამიწია — ხომ არაფერში ვარ საჭირო-მეთქი. დამინახა დირექტორმა და მოვიდა, იმერულად მომმართა: რა გაგვირვებიაო ალიოშა. ასე შინაურულად, ასე თანაგრძნობით, დედაჩემის შემდეგ, არავინ შემხმიანებია. გაკვირვებთ, ამა, როგორ არ მიეჩინს? ორმოცდაათ წლის კაცი ხელახლა ვიწყებ დასახლებას! მაგრამ ჩემი ყველა ჭირის მკურნალი ის ხომ არ უნდა იყოს? არაფერი-მეთქი, ვუთხარი. სახლის მშენებლობა როგორ მიდისო. ღოღვა-ღოღვიან— მეთქი. კარგი, გული არ გაიტეხო, ორშაბათს ისე ვნახავ რაიონის ხელმძღვანელობასო. აი, ასე!

— ოთხმოცდაოთხ წლის სტაჟით დაზარალებული ხართ?

— კი ბატონო, შუახევის რაიონიდანა ვარ, სოფელ სხეფიდან. მაგრამ ჩვენი დანგრევა რა მოსატანია, წაბლანაში ოცდაბუთი კაცი მეწყურია ისე ჩაიტანა და გააკრო, ვერსად იპოვეს. იმ დღიდან დაეკავშირდი იმერეთს კარგი ხალხი ხართ, შეგვიფარეთ, კემპინგში ვცხოვრობ, ქუთაისში. სამოსაჭლო ოფშკეთში მოგვიზომეს, წყალტუბოს ზონაში. როგორც იქნა, მეორე წლის ბოლოს ჩაყაღრეს ბალაგარი.

— ძალიან გაქიანურდა, არა?

— ვის დაძრახავ, ძმაო? რაც ბოდო წლებში საქართველოს ბუნების რისხვა მოადგა, კიდევ კარგად აგვარეს საქმეს. აჭარის დახმარების ფონდში ბარე 18 მილიონი მანეთი შეიკრება. მაგრამ, მარტო ფული რას უშველის! ჭირს საშენი მასალა, გაჭირდა მუშახელი. ორჯერ იყო ჩემი დირექტორი წყალტუბოს ხელმძღვანელებთან. დაპირდნენ ერთხელ, დაპირდნენ მეორედ, როგორც იქნა ჩაყარეს საძირკველი. მარტო წყალტუბომ რა ქნას, მთელ რესპუბლიკას უჭირს, თუმცა, ვგონებ, საუბარს გადავუხვიეთ.

— ჰო, იმას გეუბნებოდით, ძალიან შეგვაყვარა თავი დირექტორმა. 18 აჭარელი უმალ დაგვასაქმა, ერთდროული დახმარებაც გამოგვიყო, 300-300 მანეთი. თავის ინიციატივაც არ გამოძღავნა — კოლექტივმა გამოგიწოდათ ხელიო, უფასო კვებაზე გადაგვიყვანა. მერეც არაერთხელ დაგვხმარებია. ახლა იმ თვრამეტი კაციდან ნახევარი წავიდა. განა იმიტომ, რომ საუშაო პირობებს ვერ შეეგუენ, არა! როცა სახლ-კარის გაწყობა დაგვიგვიანეს, თვითონვე გადაწყვიტეს, მიეხედათ საქმისათვის. ქარხანაში აც არავის გაუკილავს ისინი, უმადურობად არაა-ლად უნდა გამოქვეყნდეს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების კანონის პროექტი. თანაც იგი უნდა განიხილოს სესიამ, რომლის მოწვევის ვადები არაფრით არ შეიძლება გადაცილდეს 7 აგვისტოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით რესპუბლიკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა

„ქართველმა ერმა“ მკითხველთა ფართო მოწონება დაიმსახურა. კერძოდ, რომიდან 1956 წლის 28 ივნისს გაგზავნილ ბარათში გამოჩენილი ქართველოლოგი, პროფესორი მიქელ თარხნიშვილი გივი კობახიძეს სწერდა:

„თქვენი ახალი ჟურნალი „ქართველი ერი“ (1 ნომერი) ბ. გ. ბუბნოვმა გადმომცა. წაიკითხე ადიოს გულდასმით და სურვილით. ჩინებული ნაღვაწია. შეიცავს ფრიად საყურადღებო ცნობებს და ერთ საგულისხმო მოთხრობასაც. სტილისტურადაც კარგად არის გაყვანილი. განა არ შეიძლება რვეულის სახე მისცეთ, რაც გააადვილებს როგორც ხმარებას,ისე და უფრო-კი შენახვას. ცოდო იქნება, რომ აქეთ-იქით თრევით წაბდეს და სულ გაფუჭდეს....“.

ეტყობა, პროფ. მ. თარხნიშვილის რჩევამ გაჭრა: გივი კობახიძემ ვახეთი „ქართველი ერი“ ჟურნალ „კრებულად“ გადააკეთა, რომლის პირველი წიგნი ნიუ-იორკში 1957 წელს გამოვიდა და ყოველწლიურ ორგანად იყო გათვალისწინებული. ოღონდ, სამწუხაროდ, „კრებულის“, ისე როგორც „ქართველი ერის“, მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა, მაგრამ ამ სახითაც იგი უსათუოდ საპატიო ადგილს დიაჭერს ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

გარეკანზე გამოსახულია ნიკორწმინდის დიდებული ტაძარი; ასევე დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენს ჟურნალის შინაარსობრივი მხარე. თავდაპირველად ჩამოთვლილთ თვით რედაქტორ-გამომცემლის ნაღვაწს (გამოქვეყნებულია როგორც გივი კობახიძის ფსევდონიმით, ისე ფსევდონიმითაც): **გიორგი მახვილაძე, გივი მაორელი, გ. მახვილაძე):**

1. 50 წელი ილიას ვარდაცვალებიდან
2. რეჟული პეიზაჟი (ლექსი)
3. მიხეილ წერეთლის ნაამბობი (ჩანაწერი)
4. მხატვარი ლადო საკაძე
5. ახალი დოკუმენტები დიასპორიდან საგვარეულოს ისტორიისათვის (ნარკვევი)
6. ბრესილის ომი (ნარკვევი)
7. აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში
8. დ. მ. ლენგი და მისი კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიაში (მიმოხილვა)
9. მიქელ თარხნიშვილის ღვაწლი

ახლა გავეცნოთ გ. კობახიძის „კრებულში“ დაბეჭდილ სხვა ავტორებსაც:

გიორგი გამყრელიძე, ლექსები; მისივე ბოთას „ვეფხის ტყაოსნის“ და მის მკვლევარებზე“ (ლიტერატურული ნარკვევი)

ლადო ბელიაშვილი, მერცხლის ციკვდილი (თეთრი ლექსი)

გრიგოლ დიასამიძე, ჩემი მოგონება

გალაკტიონ ტაბიძე, ქებათა ქებანი ნიკორწმინდას

იოსებ გრიშაშვილი, ლექსები

გრიგოლ აბაშიძე, ულუდაგის დბრუნება (ლექსი)

თამარ და აკაკი პაპავები, მოსკოვის ქართული ემიგრაცია და ბატონიშვილი დარეჯან (ნარკვევი)

ნიკოლოზ ნადირაძე, ლექსები

გიორგი კერესელიძე, გრიგოლ ორბელიანი (ნარკვევი)

რეკვიზ გაბაშვილი, ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში (ნარკვევი)

ირაკლი ოთხმეზური, შოთა რუსთაველისა და მისი პოემის ბედშემა (ნარკვევი)

ალექსანდრე მანველიშვილი, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთვე საუკუნისა, შროა ა. ინგოროყვასი (კრიტიკული მიმოხილვა).

„კრებულის“, ისე როგორც „ქართველი ერის“, ეგმოსავლას ქართული ემიგრაციისა დიდი ქმაყოფილებით შეხვდა. რედაქტორ-გამომცემელს სახელზე მოვიდა ბევრი წერილი და გამოხმაურება, რომელთა ავტორები იწონებდნენ და კარგ შეფასებას აძლევდნენ ჟურნალ „კრებულს“. ეს, მაგალითად, რას იწერებოდა ბატონ პროფესორი მიქელ თარხნიშვილი რომიდან 1958 წლის 24 მარტს:

„პატონო კობახიძე,

მივიღე თქვენი „კრებულის“ ორი ცალი. დიდად გმადლობთ. კრებული დიდად საყურადღებო წერილებს შეიცავს და თავიდან ბოლომდის სიამოვნებით იკითხეთ. ბ. გ. გამყრელიძე არა თუ კარგი პოეტია, არამედ კარგი შემფასებელიც ყოფილა ნაწერებისა, რაც ბუნებრივია. ფრიად დამაინტერესა ასევე ბ. დიასამიძის (რომელსაც ბერლინიდან ვიცნობ) მოგონებათა მწკრივმა, რაკი მეც გორელი ვარ, ასე თუ ისე, სკრიდან. მართლაც რომ საოცარი და საკვირველია „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, მშვენიერ პოეზიას წაიკვეს, კითხულობ და ვერ ძღები მისი კითხვით. სახიამოვნოა ასევე ბ. ლანგის ნაწერთა გარჩევაც, მით უმეტეს, რომ მისი გახსენება მიზეზი გამხდარა ჩემი ღვაწლის გახსენებისაც. ერთი სიტყვით, სხვა ნაწერებთან ერთად, თქვენი ახალი კრებული ყოველი ქების ღირსია, თუმც-კი არც ეგ არის მოკლებული შიგ შერეულ ფანტასტიკურსაც. დმერთმა გიშველოსთ ასეთი საქმის წამოწყებისათვის და ჭელი მოგიმართოსთ მის გასაგრძელებლად, უმჯობესის გზით წასაყვანად!

თქვენი პატივისმცემელი და

მადლიერი

მ. მ. თარხნიშვილი,

რომი, 24.4.58“.

გარდა პირადი წერილებისა, „კრებულში“ თავმოყრილი უხვი და მრავალფეროვანი მასალების შესახებ გამოქვეყნდა მოწონების რეცენზიები ალ. მანველიშვილისა (ჟურნ. „ერის დიდება“, პარიზი, 1958, № 6), დ. საღირაშვილისა (გაზ. „სამშობლოს განთავისუფლებისათვის“, მიუნხენი, 1958, № 7), კ. სალიასი (ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1958), მინდია ლაშაურისა („უკრაინუ-ელი უწყებანი“, 1959. № 47, ინ. ენაზე)...

მართლაც, გ. კობახიძეს ძალა და მონდომება არ დაუშურებია ჟურნალის როგორც შინაარსობრივი, ისე გარეგნული იერის მაღალ დონეზე ასაყვანად, მაგრამ, ეს წამოწყება ჩიშალა და „კრებულის“ მომდევნო ნომრები აღარ გამოსულა. მას შემდეგ გივი კობახიძეს ამერიკის შეერთებულ შტატებში საკუთარი ბეჭდვითი ორგანო აღარ ჰქონია. ამიტომ ეფო, რომ მან 60-იანი წლებიდან თანამშრომლობა გაუბა ევროპაში გამომავალ ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებთან, კერძოდ, გ. კობახიძის წერილები და ლექსები იბეჭდებოდა ჯერ ვიქტორ ნოზაძის ჟურნალ „კავკასიონში“, რომლის გამოცემა IX ნომრიდან განახლდა პარიზში 1964 წლიდან, ხოლო შემდეგ მან თანამშრომლობა გაგრძელა გიორგი წერეთლის რედაქტორობით 70-იან წლებში პარიზში გამომავალ ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნაში“, ხოლო ამ უკანასკნელის დახურვის შემდეგ, — ჟურნალ „გუშაგში“, რომელსაც 1984 წლიდან იგივე, გ. წერეთელი გამოსცემს სფრაგიგეთის ედიტორობით. ჟურნალ „კავკასიონის“ სხვადასხვა ნომრებში (№ 9, პარიზი, 1964; № 10, პარიზი, 1965, № 12, პარიზი, 1967. № 13, პარიზი, 1968; № 16-17, პარიზი, 1975; № 18, პარიზი, 1976) გივი ბაორელის ფსევდონიმით იბეჭდებოდა გ. კობახიძის გერმანიასა და ამერიკაში ადრე თუ გვიან დაწერილი ლექსები — „ფწფიე ბეოლა“, „აკროსტიხები“, „შენდობა“, „ვედრება“, „რაჭელი ოსტატი“, „მეუფეო ზეკასა (ლოცვა საქართველოსათვის)“, „იმერი (პარმენ ცაბელის ხსოვნისათვის)“, „დიდებული ადგილი (სიზმარი დასაფლავებულ ბაგრატ IV-ის ეკლესიაზე)“, „ეროვნული ენა“, „ეროვნული ენა“, „ეროვნული ენა

ვიქტორ ჭოლიძის იუბილე

ღირსეულად უნდა აღინიშნოს!



1990 წელს დაბადების 100 წლისთავი უსრულდება დიდ ქართველ კომპოზიტორს, ქართული კომიკური ოპერის უფუძემდებელს, უკვდავი ოპერის „ქეთო და კოტეს“ ავტორს — ვიქტორ დოლიძეს.

ეს ღირსშესანიშნავი თარიღი საქართველოში ფართოდ უნდა აღინიშნოს. საქართველოს კულტურის სამინისტროს, შემოქმედებით ორგანიზაციებს და კოლექტივებს, თბილისის ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს, საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებას კარგა ხანია დაწყებული აქვთ ორგანიზაციული მოსამზადებელი სამუშაოები.

იუბილესადმი მიძღვნილი დასაქმენთა სალამოს გარდა, რომელიც დეკემბრის მიწურულში გაიმართება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში, დაგეგმილია მრავალი სხვა ღონისძიება. მაგალითად, ოქტომბერში გაიმართება „ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ვოკალისტთა კონკურსი“. მასში მონაწილეობის სურვილი ქართველი (თბილისი, ქუთაისი) ახალგაზრდობის გარდა, გამოთქვა კიევის, ლენინგრადის, ყაზანის, ასტრახანის, კრასნოიარსკის და სხვა კონსერვატორიების სტუდენტობამ და საოპერო თეატრების ახალგაზრდობამ. კონკურსი სამ ტურად გაიმართება, ხოლო მისი საგალდებულო პროგრამა ითვალისწინებს როგორც ვ. დოლიძის, ისე სხვა ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებების და საოპერო ნაწყვეტების შესრულებას. ეს, რა თქმა უნდა, ქართული საკომპოზიტორო სკოლის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, გაზრდის ქართული ვოკალური მუსიკის თაყვანისმცემელთა რიცხვს. კონკურსის პირველი სამი ჯილდოს მფლობელებს. მიიწვევენ ვ. დოლიძის საუბნელო მუსიკალურ ფესტივალზე, რომელიც გაიმართება კომპოზიტორის მშობლიურ ქალაქ ოზურგეთში. ახალგაზრდა მომღერალთა ამ პიეკრობაში გამარჯვებულები კონცერტებს გამართავენ საქართველოს ქალაქებში, გამოიცემა სპეციალური ფირფიტა.

გრამფირფიტების ფირმა „მელოდია“ მელომანებს გაახარებს „ქეთო და კოტეს“ ჩანაწერის ხელახალი გამოცემით.

გამომცემლობა „ხელოვნება“ ამზადებს მონოგრაფიას „ვიქტორ დოლიძე“, რომლის ავტორია მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მ. ფიჩხაძე. განმეორებით გამოიცემა მუსიკათმცოდნის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ლ. დონაძის ნარკვევი, რომელიც კომპოზიტორის შემოქმედებას ეძღვნება.

„ქეთო და კოტეს“ კლავირსა და პარტიტურას გამოსაცემად ამზადებს საქართველოს მუსიკალური ფონდი.

კომპოზიტორის შემოქმედებას მიეძღვნება ხელნაგები გადაცემების სერია საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით. საქართველოს ქალაქებში გაიმართება კონცერტები, რომელთა პროგრამაში შევა ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის და სხვა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ამ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო საშემსრულებლო ძალები.

საქართველოს კინემატოგრაფიტები მუშაობენ დოკუმენტურ ფილმზე, ხოლო მოქანდაკეები ვ. ზუხაცაშვილი და ჯ. მიმინოშვილი ქმნიან ვ. დოლიძის ბიუსტებს, პირველისა დაიდგმება თბილისში, ხოლო მეორისა — ოზურგეთში. ოზურგეთშივე დაარსდება კომპოზიტორის სახლ-მუზეუმი.

უეჭველია, საზოგადოების დიდ ინტერესს გამოიწვევს „ქეთო და კოტეს“ ახალი დადგმა, რომლის პრემიერა საიუბილეო დღეებში გაიმართება საოპერო თეატრის ხცენაზე (დამდგმელი ჯგუფი: ჯ. კახიძე, გ. ლორთქიფანიძე, მ. მურვანიძე). საპრემიერო დღეებს მიეძღვნება კომპოზიტორის მემორიალური დოკუმენტური ექსპოზიცია; თეატრის ფოიეში მოწყობილი ეს გამოფენა თავს მოუყრის არსებულ მასალებს, კომპოზიტორის ფაქსიმილურ ჩანაწერებს, სწექტაკლებისათვის განკუთვნილ ესკიზებს, ფოტოებს და სხვ.

ვფიქრობთ, ხსენებული ღონისძიებები კარგ ხამხაბურს გაუწევს ჩვენი დიდი მამულიშვილის ღვაწლის და საიუბილეო თარიღის ღირსეულ აღნიშვნას, მაგრამ ჩვენი ხურვილია, რომ საიუბილეო ღონისძიებებს რაც შეიძლება ფართო ახპარეზი ჰქონდეს, რათა იუბილემ ჭეშმარიტად საყოველთაოსახალხო, ეროვნული ხასიათი მიიღოს.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით ყველა ქართველს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ამ ადამიანს, ვისაც უყვარს დოლიძისეული მუსიკა, ხიბლავს მისი უკვდავი ჰანგი, შემოგვთავაზოთ თქვენი მოსაზრებები, იდეები, რომლებიც საიუბილეო ღონისძიებებს მეტ ხიბვმოსილებას შესძენს, უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდის მის პროგრამას, კიდევ უფრო მორს გაუთქვამს სახელს ჩვენს ეროვნულ კულტურას. ყველა წინადადებას კულტურის სამინისტრო განიხილავს, ხოლო ჭეშმარიტად საგულისხმო და საყურადღებო მოსაზრებებს გაითვალისწინებს საიუბილეო ღონისძიებათა შორის.

შეიძლება რომელიმე ხელოვანს, პოეტს, მწერალს გაუჩნდეს სურვილი თავისი შემოქმედების ნიმუშში ხეციალური ჯილდოს სახით გადაეცეს კონკურსის რომელიმე გამორჩეულ მონაწილეს, ან, შესაძლოა, რომელიმე ორგანიზაციამ ინებოს საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილე შემოქმედთა (დირიჟორი, რეჟისორი, მხატვარი, ოპერაში წამყვანი პარტიების შემსრულებლები და სხვანი) საკუთარი პრიზით დაჯილდოება.

ეგებ ჩვენს შორის მოიძებნონ კომპოზიტორის ის თანამედროვენი, რომლებიც პირადი მოგონებებით, ახალი, საინტერესო მასალით გაამდიდრებენ კომპოზიტორისადმი მიძღვნილ მემორიალურ გამოფენას. ან იქნებ რომელიმე ოჯახური არქივი ინახავს ვ. დოლიძის ფაქსიმილურ ფურცლებს. ასეთი დოკუმენტების გამოშუერება, რა თქმა უნდა, ფრიად სასურველია.

იქნებ სხვა სურვილები, საინტერესო მოსაზრებები გაქვთ...

ერთი სიტყვით, ველით თქვენს წინადადებას, საყურადღებო მოსაზრებებს დიდი ქართველი კომპოზიტორის ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380004, რუსთაველის პროსპექტი 37, კულტურის სამინისტრო, ვ. დოლიძის საიუბილეო კომიტეტი.



ეს ჩემი სამშობლოს მთებია... დავით იაკობაშვილის ფოტო.

„რუსთავი“ დამკვიდრდა რუსთავში

რუსთავის კულტურულ ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენა მოხდა — საქმესლოატაციოდ გადაეცა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის „რუსთავის“ სარეპეტიციო დარბაზი, რომელიც მოკლე დროში — ერთ წელიწადში აშენდა ანსამბლისათვის. დარბაზის დაპროექტებისა და მშენებლობის ხარჯები მთლიანად საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაიღო თავისი ბიუჯეტიდან.

— ეს ჩვენი კოლექტივის მეორე დაბადებაა, — თქვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, ანსამბლის ხამხატვრო ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა. — ორი ათეული წლის მანძილზე მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. მადლობის მეტი რა გვეთქმის თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის ხელმძღვანელებისადმი, რომელმაც შეგვიკედლა და შეგვიფარა, მაგრამ მაინც არ გვქონდა მუშაობის ნორმალური პირობები. ახალი ნაგებობა ჩინებულია. მას ძნელად თუ მოეძებნება ბადალი ჩვენს ქვეყანაში კი არა, მთელ მსოფლიოში. აქ ყველაფერია გათვალისწინებული. შესანიშნავი დარბაზი, ვუთა და გოგონათა გასახდელები, ვრცელი ფოიე, მუზეუმი, სადაც მოთავსდება ანსამბლის ისტორიის ამხანელი ტენდები. აქ მუშობა ჩვენი ახალი პროფესიული წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, შემოქმედებითი ხრულყოფის ახალი ეტაპი იქნება, საკუთარი ჭერი მაინც სულ სხვაა. პროექტის ავტორმა, ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა, ახალგაზრდა სპეციალისტმ ელენა ინაშვილმა ნიჭი და ენერგია არ დაიშურა თანამედროვე საუკეთესო ნაგებობის შექმნისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, ანსამბლის ეროოგრაფმა ფრიდონ ხულამერიძემ თქვა: მთელი მსოფლიო მოგვყვლია, მაგრამ ასეთი სარეპეტიციო დარბაზი არ გვინახავს. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ქართულმა ცეკვამ იზეიმოს. ახლა სიტყვა ჩვენზეა...

აღტაცებას ვერ მალავენ ანსამბლის მოცეკვავე გია განუგრავა, მუსიკოსი თენგიზ გოგავა და სხვები. ისინი მადლობას უხდიან რუსთავის მთელ საზოგადოებრიობას, პარტიის საქალაქო კომიტეტს, საბჭოს აღმასკომს ხელმძღვანელებს, მშენებლებს ძვირფასი საჩუქრისათვის. ანსამბლის დირიჟორმა ალეკო ლორთქიფანიძემ ორიოდე სიტყვით გაგვაცნო სამომავლო გეგმები:

— ახლო მომავალში ვვიანდა დავაარსოთ ქორეოგრაფიული სახწავლებელი, სადაც აღზრდიან მომავალი მოცეკვავეებს. მათ ასწავლის ხელოვნების ეროვნული ვირტუოზი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ფრიდონ ხულამერიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

რედაქტორი მინდია უგრეხელიძე.

საქართველოს ხალხური ეკონომიკური საქმიანობის ბანკი აცხადებს თავისი კლიენტურის საყურადღებოდ, რომ (ოპერაციებისა) პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით, მომდინარე წლის 2 აგვისტოს, ხუთშაბათს ბანკი არ განაახორციელებს არავითარ საბანკო ოპერაციებს, მათ შორის საზღვარგარეთ წამსვლელთათვის ვალუტის გადახურდავებს.

ვაცხადებთ მილებას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1990/1991 სასწავლო წლისათვის წარმოებას მოწყვეტით დღის (დასწრებული) სწავლებაზე:

სამკურნალო (ქართული და რუსული სექტორები), პედიატრიის, სანიტარია-ჰიგიენის, სტომატოლოგიისა და ფარმაცევტიკის ფაკულტეტებზე (ქართული სექტორები).

მისაღებ გამოცდებზე დაშვებიან მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი საბუთები:

1. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი) ჩანართითურთ. საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს დანართი ჩაბარებული საგნების შესახებ.

2. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნის წიგნაკიდან, რომელშიც იქნება ჩანაწერი სამუშაოს შესახებ ამონაწერის გაცემის მომენტისათვის, დამოწმებული საწარმოოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ.

3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-ე).

4. ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

5. პასპორტი (წარადგენს პირადად).

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. ბიოლოგია (წერა), 2. ქართული (რუსული) ენა და ლიტერატურა (წერა), 3. მათემატიკა (წერა), 4. ქიმია (წერა).

საშუალო სკოლის დამთავრებისას ოქროს (ვერცხლის) მედლით დაჯილდოებულნ, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინების დიპლომით კურსდამთავრებულნი — ყველა სახეობისა — სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით — 8383 — 9872; — 3317 — 5064; მათ შორის: — განზრახ მკვლელობა და მისი მცდელობა — 87 — 184; — სხეულის მძიმე დაზიანება — 138 — 179; — გაუპატიურება — 39 — 46; — ყაჩაღობა — 63 — 163; — ძარცვა — 92 — 181; — სახელმწიფო ქონების ქურდობა — 265 — 606; — პირადი ქონების ქურდობა — 1030 — 1740; — ხულიგნობა — 301 — 327; — ავტოავარიები, რომელთაც მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი — 215 — 288; — იარაღის უკანონო ხმარება, შენახვა და დამზადება — 121 — 180; — ავტოტრანსპორტის გატაცება — 214 — 398; — სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით — 3421 — 3417; მათ შორის: — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება — 822 — 827; — ქრთამის აღება — 103 — 60; — სპეკულაცია — 1140 — 1187; — წვრილმანი დატაცება — 66 — 55; — მომხმარებლის მოტყუება — 797 — 837

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, მთელ პირად შემადგენლობას შეგნებული აქვს მდგომარეობის სიმრთელე, ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს დამნაშავეობის ზრდის შესაჩერებლად. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მცდელობამ უკვე გამოიღო ნაყოფი: პირველ კვარტალთან შედარებით დანაშაულობათა რიცხვმა ერთგვარად იკლო. ეს კი იძლევა იმედს, წელიწადი შედარებით მშვიდად დასრულდეს. მომავალში კვლავ გაგრძელდება პროფილაქტიკური მუშაობა ოპერატიული თვალსაზრისით ყველაზე მეტად დაძაბულ რეგიონებში, ერიდები და სხვა მიზნობრივი ღონისძიებების ჩატარება კრიმინოგენული ელემენტების გამოსაელენად, უკანონო მფლობელობაში არსებული იარაღის ამოსაღებად, საყოფაცხოვრები კონფლიქტების მოსაგვარებლად და სხვა. ყველა ეს ღონისძიება დადებით ეფექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვეცემა, თუ მას სრული თანადგომა ექნება რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, მისი მთელი მოსახლეობის მხრივ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია.

ახალი სახელები

თექაში გამოსახული სული

ქეთევან ბუჩუკურმა ოთხი წლის წინ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, იგი სპეციალობით არქიტექტორია, საპროექტო ინსტიტუტში მუშობს. ხატვა მისი მეორე ხელობაა, თუმცა, არ იქნება სამართლიანი მისი ეს უწოდო ხელობადან, [illegible] ეგი თავისი შინაგანი სულიერი მოძრაობის მნიშვნელოვან ნაწილს აქსოვს.

მხატვრის პირველი გამოფენა 1988 წელს მოეწყო გამომცემლობა „მერნის“ დარბაზში, აქ წარმოდგენილი ფერწერული ტილოები, გრაფიკული ფურცლები, მედალიონები, გობელენები, თექები ავტორის მრავალმხრივ ინტერესებს და ინტენსიურ ძიებას მოწმობდა. ვერნისაჟმა ორიგინალური, ძალზე სუბიექტური წყობის შემოქმედი გააცნო საზოგადოებას. მართალია, მხოლოდ ხუთი თექა იყო ექსპოზიციაში, მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება სწორედ მათ ეროგოთ.

ამ დღეებში თბილისის „მხატვრის სახლი“ ქეთევან ბუჩუკურის მეორე პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. ამჯერად მხოლოდ თექაა წარმოდგენილი — ორმოცდაათი ნაშუშვარი; მხატვრული თექის ამ გამოფენამ მხახელის დიდი მოწონება დაიმსახურა, მას გახსნის დღიდან არ მოჰკლებია დამთვალიერებელი. თვალის ერთი გადავლებითაც იგრძნობა, რომ საქმე გვაქვს ნიჭიერ, თვითმყოფად შემოქმედთან, რომელსაც ღვთისაგან აქვს ნაბოძები ხატიფი გემოვნება, ხაზის პლასტიკა და ემოციურობა. მისი ხელოვნება მნახველის წარმოდგენაზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოქმედებს, გასაოცარია მხატვრის თექების სისადავე და ამავე დროს ზემოქმედების ძალა. მხატვარი ბუნებრივი, შეუღებავი ცხვრის მატყლით ქმნის თავის სამყაროს, გაოცებთ, სად მოიძიებს იგი მატყლს ასეთ სასიამოვნო ტონებს — იისფერს, ფერფლისფერს, წაბლისფერს, ოქროსფერს, თაფლისფერს.

პასტორალური ყოფიდან მომდინარეობს თექის ხელოვნება, საქართველოს მთიანეთში იგი უხსოვარი დროიდანაა გავრცელებული, მათში ორნამენტულ, დეკორატიულ მოტივებს შეხვდებით, მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სტილიზებული ფიგურებით. ქეთევან ბუჩუკურის, როგორც მხატვრის დამსახურება და სიახლე ის არის, რომ მან არა მარტო თექის დამზადების ყოველი ტექნოლოგიური საიდუმლო და დეტალი შეისწავლა მთიული მოხუცებისაგან, არამედ გააფართოვა კიდეც თექის გამომსახველობითი საშუალებები, თექის ნახატში შეიტანა სიუჟეტი, თემა, თექის საშუალებით იგი ქმნის სურათს, აღწერს ტონალობის გრადაციასა და ნიუანსებს აქცენტირებს მატყლის მასალით შესრულებულ ნაშუშვარებში. მხატვრის თამამი, გაბედული ხელი თითქოს ფაქრას ბუნებას, აღმოგვიჩენს აქამდე შეუმჩნეველ მშვენიერებას.

მისი ყოველი ნაზი და ფერი ბუნების ხმას გამოსცემს, ადამიანი და ბუნება, ბუნება და ადამიანი უკვდავება ემოციურად შეიგრძნობა ქეთევან ბუჩუკურის ქმნილებებში. თითქოს ძველი ციხე-კოშკები, საქართველოს ტრაგიკული ისტორიის სევდა გადმოდის ამ თექებიდან, იდუმალი ნათელი მათში ჩაბუდებული.

მხატვრის შთაგონების წყარო ხალხური თექაა უპირველესად, მერე — ქართული ფრესკა და ფარქტი მოუვიდა და ადგილზეე გარდაიცვალა. წალკის რაიონის სოფელ არსარვანის ერთ-ერთ მცხოვრების სახლში ხუთი დამნაშავე შეიპყრა. თავდამსხმელებმა იქ მყოფ სახლის პატრონის ორი ქალიშვილის მიმართ „ცხელი უთოს ეფექტი“ გამოიყენეს, გაიტაცეს ფული, ოქროეულობა და მიიმალნენ. თბილისში ორი უცნობი ჩაუჯდა ტაქსის მძღოლს. გზაში მათ დანის მუქარით წაართვეს ამ უკანასკნელს ღღიური ამონაგები, გადმოსვეს და იმავე მანქანით მიიმალნენ.

ყაჩაღობისა და ძარცვის ფაქტები გახშირდა ქუთაისში, წყალტუბოში, გაგრაში, თბილისს ლენინისა და საბურთალოს რაიონებში, ცხინვალის, ზესტაფონის, ოჩამჩირის და სხვა რაიონებში. სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობის რაოდენობამ იმატა ქალაქებში თბილისში, ზუგდიდსა და გორში, გარეგანის, სიღნაღის, ბორჯომის რაიონებში და სხვა.

ბარშან ავტოავარიებისა და შეასბამსად, მათი მსხვერპლის რაოდენობამ რესპუბლიკაში ერთგვარ პიკს მიაღწია. სამწუხაროდ, მდგომარეობის გაუმჯობესება ამ მხრივ არც წლეულს აღინიშნება. გზაზე მოძრაობის ელემენტარული წესების უგულებელყოფა, ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში, მართვის მოწმობისა და საჭირო მომზადების გარეშე მართვა, — აი, ძირითადი მიზეზი გზებზე დატრიალებული ტრაგედიებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა თბილისის, ბათუმის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხობის, გალის და სხვა რაიონების გზებსა და მაგისტრალებზე. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოგვაქვს საქართველოში 1990 წლის პირველი ნახევრის დამნაშავეობის დინამიკისა და სტრუქტურის ამსახველი შედარებითი ცხრილი.

ეროვნული ფერწერული ტილო

რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული ვითარების შესახებ

	დანაშაულთა რაოდენობა 1989 წლის I ნახევარი	1990 წლის I ნახევარი
— ყველა სახეობისა	8383	9872
— სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით	3317	5064
მათ შორის:		
— განზრახ მკვლელობა და მისი მცდელობა	87	184
— სხეულის მძიმე დაზიანება	138	179
— გაუპატიურება	39	46
— ყაჩაღობა	63	163
— ძარცვა	92	181
— სახელმწიფო ქონების ქურდობა	265	606
— პირადი ქონების ქურდობა	1030	1740
— ხულიგნობა	301	327
— ავტოავარიები, რომელთაც მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი	215	288
— იარაღის უკანონო ხმარება, შენახვა და დამზადება	121	180
— ავტოტრანსპორტის გატაცება	214	398
— სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით	3421	3417
მათ შორის:		
— სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება	822	827
— ქრთამის აღება	103	60
— სპეკულაცია	1140	1187
— წვრილმანი დატაცება	66	55
— მომხმარებლის მოტყუება	797	837

ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲬᲚᲔᲣᲚᲨᲘ, პირველ ნახევარში ოპერატიული თვალსაზრისით რესპუბლიკაში საკმაოდ დაძაბული ვითარება შეიქმნა. რეგისტრირებულია გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით 52,7 პროცენტით მეტი სისხლის სამართლის დანაშაული, ამასთან, მძიმე სახეობათა დანაშაულობანი 64,3 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა რესპუბლიკის დედაქალაქში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქუთაისში, სოხუმში, ცხინვალში, ზუგდიდში, რუსთავში, ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის და სხვა რაიონებში. სულ კი ოპერატიული ვითარების გაუარესება მეტ-ნაკლებად აღინიშნება საქართველოს ქალაქებისა და რაიონების თითქმის სამ მეოთხედში, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. მათ შორის 67,6 პროცენტით იმატა განზრახ მკვლელობის ფაქტებმა. 53,9 პროცენტით — მკვლელობის მცდელობამ, თითქმის მესამედით — სხეულის მძიმე დაზიანებამ, 18 პროცენტით — გაუპატიურებამ. მთლიანად, აღნიშნული სახის სამართალდარღვევების ხვედრითმა წილმა დამნაშავეობის საერთო სტრუქტურაში 8 პროცენტს გადააჭარბა. მათი უმრავლესობის მიზეზს ოჯახური და საყოფაცხოვრები კონფლიქტები, სმითვალი წარმოადგენს. მოჯარბებული ვნებების ორომტრიალში დავიწყებას ეძლევა ნათესაობა, მეგობრობა, კეთილმეზობლობა და მომარჯვებულია დანა, ნაჯახი, თოფი.

ახმეტის რაიონში, ჩხუბის დროს, მამამ თოფით სიცოცხლეს გამოასალმა საკუთარი შვილი. სოხუმის რაიონის სოფელ ვოლოდარსკოეს მცხოვრებმა დავის დროს თოფით მოკლა მეზობელი ქალი. ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონში ქარხანა „ზარიას“ მუშამ ჩხუბისას მძიმე სხეულის დაზიანება მიაყენა მოქალაქეს. ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. თბილისში გმირთა მოედანზე, უმნიშვნელო ავტოავარიის გამო წარმოქმნილი კონფლიქტის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ახალგაზრდა კაცი.

განვლილი პერიოდის განმავლობაში მკვლელობისა და მათი მცდელობის რიცხვმა მოიმატა თბილისსა და სოხუმში, საგარეჯოს, ვანის, ოჩამჩირის, ცაგერის და სხვა რაიონებში, სხეულის მძიმე დაზიანებათა რაოდენობა გაიზარდა გორის, თელავის რაიონებში და ა. შ.

მნიშვნელოვნად იმატა ასევე სახელმწიფო და პირადი ქონების ხელყოფის ფაქტებმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 3-ჯერ გაიზარდა ყაჩაღობის, 2-ჯერ — ძარცვის რაოდენობა. აღირიცხა 128,7 პროცენტით მეტი სახელმწიფო და 68,9 პროცენტით მეტი პირადი ქონების ქურდობა. გახშირდა ჯგუფური თავდასხმები ოჯახებზე, ტაქსის მძღოლებისა და ავტომანქანების მფლობელთა ძარცვა, რომელთაც არცთუ იშვიათად ცეცხლსასროლი და სხვა იარაღის გამოყენებაც ერთვის თან. ამ სახის დანაშაულობებს ახასიათებს თავზეხელაღება, რაც ხშირად ბოროტალსწინებელი შედეგით მთავრდება.

გორის რაიონის სოფელ ძეკერაში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ოთხი ნიღბიანი დამნაშავე პენსიონერის სახლში შეიჭრა, ეს უკანასკნელი გაკოჭეს, გაიტაცეს ვიდეომაგნიტოფონი და მიიმალნენ; სახლის პატრონს ინერალთა ამ პიეკრობაში გამარჯვებულები კონცერტებს გამართავენ საქართველოს ქალაქებში, გამოიცემა სპეციალური ფირფიტა.

გრამფირფიტების ფირმა „მელოდია“ მელომანებს გაახარებს „ქეთო და კოტეს“ ჩანაწერის ხელახალი გამოცემით.

გამომცემლობა „ხელოვნება“ ამზადებს მონოგრაფიას „ვიქტორ დოლიძე“, რომლის ავტორია მუსიკათმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მ. ფიჩხაძე. განმეორებით გამოიცემა მუსიკათმცოდნის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ლ. დონაძის ნარკვევი, რომელიც კომპოზიტორის შემოქმედებას ეძღვნება.

„ქეთო და კოტეს“ კლავირსა და პარტიტურას გამოსაცემად ამზადებს საქართველოს მუსიკალური ფონდი.

კომპოზიტორის შემოქმედებას მიეძღვნება ხელნაგები გადაცემების სერია საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით. საქართველოს ქალაქებში გაიმართება კონცერტები, რომელთა პროგრამაში შევა ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის და სხვა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ამ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო საშემსრულებლო ძალები.

საქართველოს კინემატოგრაფიტები მუშაობენ დოკუმენტურ ფილმზე, ხოლო მოქანდაკეები ვ. ზუხაცაშვილი და ჯ. მიმინოშვილი ქმნიან ვ. დოლიძის ბიუსტებს, პირველისა დაიდგმება თბილისში, ხოლო მეორისა — ოზურგეთში. ოზურგეთშივე დაარსდება კომპოზიტორის სახლ-მუზეუმი.

უეჭველია, საზოგადოების დიდ ინტერესს გამოიწვევს „ქეთო და კოტეს“ ახალი დადგმა, რომლის პრემიერა საიუბილეო დღეებში გაიმართება საოპერო თეატრის ხცენაზე (დამდგმელი ჯგუფი: ჯ. კახიძე, გ. ლორთქიფანიძე, მ. მურვანიძე). საპრემიერო დღეებს მიეძღვნება კომპოზიტორის მემორიალური დოკუმენტური ექსპოზიცია; თეატრის ფოიეში მოწყობილი ეს გამოფენა თავს მოუყრის არსებულ მასალებს, კომპოზიტორის ფაქსიმილურ ჩანაწერებს, სწექტაკლებისათვის განკუთვნილ ესკიზებს, ფოტოებს და სხვ.

ვფიქრობთ, ხსენებული ღონისძიებები კარგ ხამხაბურს გაუწევს ჩვენი დიდი მამულიშვილის ღვაწლის და საიუბილეო თარიღის ღირსეულ აღნიშვნას, მაგრამ ჩვენი ხურვილია, რომ საიუბილეო ღონისძიებებს რაც შეიძლება ფართო ახპარეზი ჰქონდეს, რათა იუბილემ ჭეშმარიტად საყოველთაოსახალხო, ეროვნული ხასიათი მიიღოს.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით ყველა ქართველს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ამ ადამიანს, ვისაც უყვარს დოლიძისეული მუსიკა, ხიბლავს მისი უკვდავი ჰანგი, შემოგვთავაზოთ თქვენი მოსაზრებები, იდეები, რომლებიც საიუბილეო ღონისძიებებს მეტ ხიბვმოსილებას შესძენს, უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდის მის პროგრამას, კიდევ უფრო მორს გაუთქვამს სახელს ჩვენს ეროვნულ კულტურას. ყველა წინადადებას კულტურის სამინისტრო განიხილავს, ხოლო ჭეშმარიტად საგულისხმო და საყურადღებო მოსაზრებებს გაითვალისწინებს საიუბილეო ღონისძიებათა შორის.

შეიძლება რომელიმე ხელოვანს, პოეტს, მწერალს გაუჩნდეს სურვილი თავისი შემოქმედების ნიმუშში ხეციალური ჯილდოს სახით გადაეცეს კონკურსის რომელიმე გამორჩეულ მონაწილეს, ან, შესაძლოა, რომელიმე ორგანიზაციამ ინებოს საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილე შემოქმედთა (დირიჟორი, რეჟისორი, მხატვარი, ოპერაში წამყვანი პარტიების შემსრულებლები და სხვანი) საკუთარი პრიზით დაჯილდოება.

ეგებ ჩვენს შორის მოიძებნონ კომპოზიტორის ის თანამედროვენი, რომლებიც პირადი მოგონებებით, ახალი, საინტერესო მასალით გაამდიდრებენ კომპოზიტორისადმი მიძღვნილ მემორიალურ გამოფენას. ან იქნებ რომელიმე ოჯახური არქივი ინახავს ვ. დოლიძის ფაქსიმილურ ფურცლებს. ასეთი დოკუმენტების გამოშუერება, რა თქმა უნდა, ფრიად სასურველია.

იქნებ სხვა სურვილები, საინტერესო მოსაზრებები გაქვთ...

ერთი სიტყვით, ველით თქვენს წინადადებას, საყურადღებო მოსაზრებებს დიდი ქართველი კომპოზიტორის ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380004, რუსთაველის პროსპექტი 37, კულტურის სამინისტრო, ვ. დოლიძის საიუბილეო კომიტეტი.

სურათზე: ქეთევან ბუჩუკურის თექა „სიონი“.

თეიმურ ნიკოლაიშვილის ფოტო.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებში, რომელიც გაზეთ „სახალხო განათლების“ 1990 წლის 17 მაისის ნომერში დაიბეჭდა, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ მიღების წესებსა და პროგრამებში გამოქვეყნდა, მითითებულია, რომ სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე კონკურსი ჩატარდება ცალ-ცალკე სტაჟიან და უსტაჟო აბიტურიენტებისათვის.

ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საკავშირო სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიების ერთობლივი დადგენილებით, სამედიცინო ინსტიტუტებში სტაჟიან და უსტაჟო აბიტურიენტთა კონკურსების ცალ-ცალკე ჩატარება გაუქმებულია.

ამიტომ სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოც